



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/25

მ. თბილისი

15 ივნისი 2022

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და შპს „ევროპის უნივერსიტეტს“ შორის
2021 წლის 24 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, კარლო კოპალიანის 2022 წლის 6 ივნისის MES 6 22 0000602496 წერილის და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2022 წლის 15 ივნისის №01-05-02/04 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და შპს „ევროპის უნივერსიტეტს“ შორის 2021 წლის 24 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გახოკიძე